საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-194

10/02/2021

ქ. თბილისი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ქვემო ქართლის რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის მე-17 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ქვემო ქართლის რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N6 (26.01.2021);
2. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N6 (26.01.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12-კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი